რუსეთი და 1821 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია საბერძნეთში

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოლღა პეტრუნინა

მიმდინარე წელს საბერძნეთი აღნიშნავს ქვეყნის უახლესი ისტორიის ფუძემდებელი მოვლენის – 1821 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის დაწყების 200 წლის იუბილეს, რომელსაც სახელმწიფოში დიდი რევოლუციაც კი უწოდეს. მისი ძირითადი მნიშვნელობა ისაა, რომ მის შედეგად ევროპის რუკაზე გაჩნდა სახელმწიფო – საბერძნეთი, რომელიც მანამდე არასდროს არსებულა: ძველ დროში ბერძნებს ჰქონდათ არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ ცალკეული პოლისები, ხოლო ის შუასაუკუნეების იმპერია, რომელსაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ბიზანტიას ვუწოდებთ, იყო მრავალნაციონალური სახელმწიფო და საკუთარ თავს რომის მემკვიდრედ თვლიდა. ამ ხალხების ერთობა ნარჩუნდებოდა ბევრი მათგანისთვის საერთო მართლმადიდებლური სარწმუნოებით.

დიდი ხნის განმავლობაში საბერძნეთად იმ ოლქებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც ტრადიციულად ბეძნებით იყო დასახლებული. მას შემდეგ, რაც თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, ბერძნები რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში სულთანების ხელისუფლების ქვეშ ცხოვრობდნენ და საკუთარი ქრისტიანული სახელმწიფოს აღორძინებაზე ოცნებობდნენ. ბერძნებში პოპულარული იყო წინასწარმეტყველება, მომავალში ბოსფორზე ქრისტიანული სამეფოს აღორძინების შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო „ძლიერი, ღიაფერისთმიანი ჩრდილოელი ხალხის დახმარებით“. დიდი ხნის განმავლობაში საბერძნეთად იმ ოლქებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც ტრადიციულად ბეძნებით იყო დასახლებული. მას შემდეგ, რაც

თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, ბერძნები რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში სულთანების ხელისუფლების ქვეშ ცხოვრობდნენ და საკუთარი ქრისტიანული სახელმწიფოს აღორძინებაზე ოცნებობდნენ. ბერძნებში პოპულარული იყო წინასწარმეტყველება, მომავალში ბოსფორზე ქრისტიანული სამეფოს აღორძინების შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო „ძლიერი, ღიაფერისთმიანი ჩრდილოელი ხალხის დახმარებით“.

ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ, ბერძენმა აქტივისტებმა აჯანყებისათვის მზადება დაიწყეს: ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ოდესაში, შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია „ფილიკი ეთერია“ („მეგობრული საზოგადოება“), რომელიც სულთანის სამფლობელოებში აჯანყებებს ამზადებდა. საზოგადოების მეთაური გახდა რუსი არმიის ოფიცერი, ეთნიკური ბერძენი ალექსანდრე იპსილანტი. 1821 წლის თებერვლის ბოლოს იგი მცირერიცხოვანი რაზმით გადავიდა სასაზღვრო მდინარე პრუტზე და მოლდოვაში ბერძნების ამბოხი მოაწყო. ერთი თვის შემდეგ აჯანყება დაიწყო საბერძნეთშიც.

საიდუმლო საზოგადოების – «ფილიკი ეთერია» დროშა

ალექსანდრე იპსილანტი, დიონისე ცოკოსი, 1862 წ.

იპსილანტის გადასვლა მდინარე პრუტზე. პეტერ ფონ ჰესი

თითქმის ათი წელი იბრძნოდნენ მამაცი ბერძნები თავისუფლებისათვის. მაგრამ ძალები ძალიან არათანაბარი იყო. აჯანყებით მოცული რამდენიმე ოლქის რესურსის შედარებაც კი არ შეიძლებოდა ოსმალეთის იმპერიის უზარმაზარ რესურსთან. ამიტომ, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, საბერძნეთის რევოლუცია განწირული აღმოჩნდა დამარცხებისათვის გარე დახმარების გარეშე.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა ბერძენმა პოლიტიკოსმა და საზოგადოებრივმა მოღვაწემ შემდგომში დაიწყო რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარების უარყოფა დამოუკიდებელი საბერძნეთის შექმნის საქმეში. ამის ერთ-ერთი უკანასკნელი დროის მაგალითია – წერილი, მაშინ ჯერ კიდევ აბიდოსის ეპისკოპოსისა, ამჟამად კრინიის მიტროპოლიტისა და მალტის ეგზარქოსისა კირილესი, რომელიც მან

ახალი ამბების სააგენტო Romfea.gr.-ს გაუგზანა. ყოვლადუსამღვდელოესი კირილე აღიარებს, რომ რუსეთში მართლაც იყო ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა ავჯანყებულ ბერძენთა დასახმარებლად, მაგრამ ამასთანავე, ირწმუნება, თითქოს ოფიციალურ დონეზე რუსეთს საბერძნეთისთვის არაფერი გაუკეთებია.

თუმცა საქმე ასე სრულებითაც არ არის. 1821 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე სულთანის კარზე რუსეთის ელჩი, გრაფი გ. ა. სტროგანოვი მაღალ პორტას (სულთანის მთავრობა) პროტესტის ნოტებით ბომბავდა ბერძნების წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიებისა და დარბევების გამო. ბოლოსდაბოლოს რუსეთის მისიამ დატოვა ოსმალეთის დედაქალაქი და ამით ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა.

1823 წლის ბოლოს სწორედ რუსეთი გახდა ინიციატორი პირველი საერთაშორისო პროექტისა საბერძნეთში ავტონომიური სამთავროების შექმნის თაობაზე, – ცნობილი, როგორც ტატიშევის გეგმა. მაგრამ მაშინ ეს ბერძნებს ცოტა მოეჩვენათ. ისინი კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი წარმატებებით: 1821 წელს მათ მოახერხეს გამაგრებულიყვნენ პელოპონესში – რევოლუციის ეპიცენტრში, 1822 წელს კი დაემარცხებინათ მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ორი თურქული არმია. 1823 წელს ახალი არმიის გაგზავნა შეჩერდა დედაქალაქში იანიჩარების ავჯანყების მიზეზით. იმავდროულად, მთელს ევროპაში, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და რუსეთში, ფართოვდებოდა საზოგადოებრივი მოძრაობა ავჯანყებულ ბერძენთა დასახმარებლად: იქმნებოდა ფილელინური კომიტეტები, იკრიბებოდა ტყვედ ჩავრდნილი ქრისტიანების გამოსასყიდი სახსრები, ყალიბდებოდა და ავჯანყებულ საბერძნეთში იგზავნებოდა მოხალისეთა რაზმები. ალბათ არცერთ სხვა ერს არ მიუღია ასეთი ფართო საერთაშორისო საზოგადოებრივი დახმარება, როგორიც ბერძნებმა მიიღეს.

მუჰამედ ალი ეგვიპტელი.
დეივიდ უილკი, 1841 წ.

იბრაგიმ-ფაშა. შარლ-ფილიპ
ოგიუსტ-ლარივიერი, 1846 წ.

თეოდორე კოლოკოტრონისი.
დიონისე ცოკოსი, 1861 წ.

ყოველივე ეს ბერძენ რევოლუციონერებს ცრუ ილუზიებს უქმნიდა სწრაფი გამარჯვების შესახებ. მათ ის გარემოებაც კი უგულებელყვეს, რომ აჯანყების რაიონში ბევრი ციხესიმაგრე ჯერ კიდევ თუქეთის გარნზონებს ეკავათ. 1824-1825 წლებში პოლიტიკურმა უთანხმოებამ ბერძენთა ბანაკში მთელი რიგი სამოქალაქო ომები გამოიწვია. ამ დროს სულთანმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა და დასახმარებლად თავის ვასალს, ეგვიპტის მმართველ მუჰამედ ალის მიმართა. 1824 წ. თურქულ-ეგვიპტურმა ფლოტმა ბერძენ ამბოხებულებს ზღვაზე რამდენიმე დამარცხება აწვნია და უზრუნველყო, ამბოხებულ რაიონებში ჯარის ზღვით გადასროლის უსაფრთხოება. 1825 წლის თებერვალში დაიწყო ეგვიპტის ჯარების შესვლა პელოპონესში.

სამოქალქო ომებით დასუსტებულმა ბერძნებმა ვერ შეძლეს, წინააღმდეგობა გაეწიათ ეგვიპტის კარგად შეიარაღებული და დისციპლინირებული ჯარისთვის, რომელსაც მუჰამედ ალის ვაჟი, ნიჭიერი მხედართმთვარი იბრაგიმ-ფაშა მეთაურობდა. დამარცხებით გატეხილი აჯანყებულები გაიფანტნენ, შიმშილითა და ავადმყოფობით დაუძლურებელმა მოსახლეობამ კი სულთანს ერთგულება შეჰფიცა. 1827 წლის გაზაფხულისთვის ბერძენ რევოლუციონერთა კონტროლის ქვეშ მხოლოდ პატარა რაიონი დარჩა პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. როგორც შემდგომში ამბოხებულთა ჯარის მეთაური, თეოდორე კოლოკოტრონისი იხსენებდა, სწორედ მაშინ დადგა ბერძნებისთვის ყველაზე კრიტიკული მომენტი. საბერძნეთის რევოლუციის საბოლოოო ჩახშობა თითქმის გარდაუვალი იყო – მისი გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო, და ეს სასწაული მოხდა.

ნავარინის ბრძოლა. ი. კ. აივაზოვსკი, 1848 წ.

ადმირალ ლოგან პეტრეს ძე გეიდენის პორტრეტი. ე. ი. ბოტმანი, 1877 წ.

1827 წელს რუსეთმა ინგლისსა და საფრანგეთს შესთავაზა, კონვენცია მიეღოთ საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით, რათა სულთანი აეძულებინათ, დათმობაზე წასულიყო და ბერძნებისთვის ავტონომია დაემტკიცებინა. ამ კონვენციის თანახმად, რომელსაც 1827 წლის 24 ივნისს (6 ივლისს) მოეწერა ხელი, სამი „დერჟავა“ შუამდგომელი ხდებოდა ბერძნულ-თურქული კონფლიქტის გადაჭრის საქმეში. იმისათვის, რომ ორივე მხარეს მორატორიუმი დაეცვა მოლაპარაკების პერიოდში, საბრძოლო მოქმედებების რაიონში ინგლისურ-ფრანგულ-რუსული ესკადრა იქნა შეყვანილი. 1827 წლის 8 (20) ოქტომბერს ამ ესკადრამ ნავარინის ბუხტაში მდგომი თურქეთ-ეგვიპტური ფლოტი გაანადგურა; ყველაზე დიდი წარმატებით მოქმედებდა ესკადრის რუსული ნაწილი კონტრ-ადმირალ ლ. პ. გეიდენის მეთაურობით. ამ ბრძოლამ, რომლის მოსახსენებლადაც ყოველწლიურად იმართება სადღესასწაულო ღონისძიებები, კარდინალურად შეცვალა ძალთა ბალანსი. მაგრამ მაღალ პორტას სიტყვის გაგონებაც არ სურდა, ბერძნების დამოუკიდებლობაზე ან თუნდაც ავტონომიის მინიჭებაზე. ბერძენი მეექვსეკლასელების ისტორიის დღევანდელ სახელმძღვანელოში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ მხოლოდ „რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხებამ აიძულა სულთანი, მოლაპარაკებებზე წასულიყო“.

1829 წლის 10 (22) მარტს რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს, სადაც ჩამოყალიბებული იყო საბერძნეთისთვის ავტონომიის მინიჭების პირობები, ამასთან, რუსი დიპლომატები დაჟინებით მოითხოვდნენ მომავალი საბერძნეთის სახელმწიფოსთვის საზღვრების, რაც შეიძლება, გაფართოებას. 1829 წლის ზაფხულში რუსული არმია სწრაფად გაიჭრა წინ და ადრიანეპოლი დაიკავა, საიდანაც პირდაპირი გზა იხსნებოდა ოსმალეთის იმპერიის გულისკენ. სულთანი იძულებული გახდა, მიეღო პროტოკოლის პირობები.

რუსეთის არმიის შესვლა ადრიანეპოლში – 1829 წ. 8 აგვისტო

ადრიანეპოლის სამშვიდობო შეთანხმებამ (1829 წ.) დაასრულა რუსეთ-თურქეთის ომი. შეთანხმების მეათე მუხლი სულთანს ავალებდა, 1827 წლის კონვენციისა და 1829 წლის მარტის პროტოკოლის აღიარებას. რამდენიმე თვის შემდეგ, 1830 წლის 22 იანვარს (3 თებერვალს) რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა საბერძნეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს.

შემდგომში ა. ს. პუშკინი წერდა: „1829 წელს ევროპის ყურადღება მიპყრობილი იყო ადრიანეპოლისკენ, სადაც საბერძნეთის ბედი წყდებოდა. რვა თვის განმავლობაში მთელი მართლმადიდებლური სამყარო მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. საბერძნეთი გაცოცხლდა, ჩრდილოეთის ძლიერმა დახმარებამ მას

დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა დაუბრუნა“.

ახლა, ამ მოვლენებიდან 200 წლის შემდეგ, ჩვენ გვახსოვს, რომ რუსეთმა შეიფარა თურქეთის რეპრესიებს გამოქცეული ბერძენი დევნილები; გვახსოვს კონსტანტინეპოლში რუსეთის მისიის ძალისხმევა ბერძენი მოსახლეობის დარბევისგან დასაცავად; გვახსოვს რუსი დიპლომატების ბრძოლა, ბერძნებისათვის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მისანიჭებლად; გვახსოვს რუსი მოხალისენი – ძმები ბერეზანსკები, რომლებმაც აჯანყებულ საბერძნეთში 180-კაციანი რაზმი შეიყვანეს; გვახსოვს რუსი ოფიცერი ნიკოლოზ რაიკო, რომელიც დამოუკიდებელი საბერძნეთის პირველი დედაქალაქის კომენდატი გახდა; გვახსოვს 1828-1829 წწ. თურქეთის ომში დაღუპული ათასობით რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. გვახსოვს ისიც, რომ რუსეთის დახმარების გარეშე საბერძნეთი ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. სასურველია, რომ ეს ბერძნებსაც ახსოვდეთ.

წყარო: https://mospat.ru/ge/authors-analytics/86830/